საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლიკოპოდიუმი

ლიკოპოდიუმი

ლიკოპოდიუმი (Lycopodium), ლიკოპოდიუმისებრთა ოჯახის მარადმწვანე ბალახოვანი მცენარეების გვარი. სასპორე თავთავები (სტრობილები) კენწრული და მკვრივია. შედგება ღერძისა და სპირალურად განლაგებული სპოროფილებისაგან, რ-თა ზედა მხარეზე მოთავსებულია სპორანგიუმები. 10-მდე სახეობა ძირითადად ჩრდ. ნახევარსფეროს ტყის ზონაშია გავრცელებული. საქართველოში გვხვდება 2 სახეობა: L. clavatum და L. annotinum. ლ-ისა და ზოგიერთი მისი მონათესავე გვარის სახეობათა სპორები გამოიყენება სამკურნალოდ და სამსხმელო წარმოებაში.

ი. მიქელაძე